ოქმი:**ო37. 3726236001**

თარიღი:**24/08/2026**

ოქმი N 22

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2026 წელი, 21 აგვისტო

ქ. ოზურგეთი

12:00 -13:00-
საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე, დ. ხურციძე, მ. ჩხიკვიშვილი, პ. კიღურაძე, ტ. აროშიძე, ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 9 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წერიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

2.ინფორმაცია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლად გია ანთაძის დანისვნის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ ტატა ბარამიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესხებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

6. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი"-თ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების ადგილების განსაზღვრის შესახებ” **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 ივლისის განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N1,2,3,4,5 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით, ამასთან N1,2,3 საკითხები განხილვისა და საკრებულოს სხდომაზე დასკვნების წარმოდგენის მიზნით დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ კომისიას(მ. ჩხიკვიშვილი).

2. N6,7 საკითხები განხილვისა და ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე დასკვნების წარმოდგენის მიზნით დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ კომისიას (მ. ჩხიკვიშვილი).

3. N7 საკითხი განხილვისა და ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ კომისიას (ბ. თოიძე).

4.N8 საკითხი განხილვისა და ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწეროს საკრებულოს დარგობრივ კომისიას(დ.

ჭაკნელიძე).

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

